არაკვალიფიციური მსაჯობა

“დინამო” (თბილისი) – “კრ. სოვეტოვი” (კუიბიშევი)

იმ ჩავარდნების შემდეგ, რომელიც თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს ჰქონდა პირველ წრეში, მათ შედარებით გამოაკეთეს თამაში. კერძოდ, თბილისელებმა კარგ სტილში ჩაატარეს ბოლო ორი მატჩი (მოსკოვის “ტორპედოსა” და ლენინგრადის “ზენიტთან”).

10 ივლისს თბილისის “დინამომ” თავის მოედანზე მიიღო “ა” კლასის გათამაშების ერთ–ერთი აუტსაიდერი – “კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი).

დაიწყო თუ არა თამაში, “დინამოს” მარცხენა მცველმა ხოჭოლავამ დაუშვა შეცდომა და უყურადღებოდ დატოვა გუზიკი (№7), რომელიც გავიდა ფლანგზე და კართან ჩააწოდა. აქ სტუმართა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვოდიაგინმა დაასწრო მცველებს და კარში დაარტყა. ბურთი მოხვდა ძელს, დაჰყვა ხაზს და მეორე ძელს გასცდა. მსაჯმა ლუკიანოვმა დაუშვა შეცდომა – ბურთი გატანილად ჩათვალა.

კუიბიშეველთა თამაშის სისტემა ყველასათვის კარგადაა ცნობილი, ისინი მას წლების მანძილზე მიმართავენ: თუ გუნდმა შეძლო ერთი ბურთის გატანა მაინც, ყველა მოთამაშე იხევს ღრმა ზურგში, უახლოვდება ერთმანეთს და ყოველგვარი საშუალებით ცდილობს მოწინააღმდეგეს არ მისცეს თავისუფალი მოქმედების საშუალება. ვოლგელებმა ამ ტაქტიკას არ უღალატეს ამჯერადაც – ორივე ძლიერი შუამარბი (ვოროშილოვი, გულევსკი) და გარემარბები (გუზიკი, ნოვიკოვი) საჩქაროდ იქნენ “ევაკუირებული” უკან. ამგვარად, “კრილია სოვეტოვის” საჯარიმო მოედნამდე მიღწევა საკმაოდ რთულ ამოცანად იქცა.

თბილისელებს კარგა ხანს ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ თავდამსხმელები, რატომღაც, დაბალი გადაცემებით ამჯობინებდნენ თამაშს და მოთამაშეთა ასეთ თავშეყრაში წარმატებას ვერ აღწევდნენ, ხოლო მცველები მჭიდროდ არ იჭერდნენ მოწინააღმდეგის თავდამსხმელებს, რომელთაც ამის გამო საშუალება ჰქონდათ დროის გაყვანის მიზნით დიდხნობით ეტარებინათ ბურთი.

თანდათან გამოირკვა, რომ დინამოელთა შეტევა რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენდა. თავდამსხმელები კონტაქტისა და გეგმის გარეშე თამაშობდნენ. ვოლგელთა უძლიერესმა ნახევარმცველმა კარპოვმა (№5) საფუძვლიანად “ჩაკეტა” ღოღობერიძე, რომელიც მეტად სუსტი იყო ამ დღეს. ერთფეროვნად თამაშობდა კ. გაგნიძე, ხოლო იამანიძე მარცხენა ფრთაზე აბსოლუტურ პასიურობას იჩენდა.

ტაიმი დამთავრდა – 1:0.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. “კრილია სოვეტოვი” თავს “მშვენივრად გრძნობდა” თავის ნახევარზე და მშვიდად და აუჩქარებლად იგერიებდა დინამოელთა შეტევებს.

შემდეგ კუიბიშელებმა წინ წამოსწიეს ვოდიაგინი და გუზიკი. ერთ–ერთ მომენტში ვოდიაგინი გაექცა ძიაპშპას (№3), და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მარტოდმარტო მდგომ რუსაძეს (№2). რუსაძემ ბურთი… კვლავ ვოდიაგინს გადააწოდა, რომელმაც მეორე ბურთი გაიტანა – 2:0.

აღსანიშნავია ი. ლუკიანოვის ძალზე არაკვალიფიციური, ტენდენციური მსაჯობა.

დინამოელებმა მატჩი გააპროტესტეს.

დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა – 6:0.

კ. ნოზაძე.

“ლელო”, 13 ივლისი, 1955 წ.